ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41.41210741**

თარიღი:**15/03/2021**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს VII თავის, 75-ე მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 5 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასებასთან დაკავშირებით” გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოება.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნეს 2021 წლის 1 მაისამდე.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენასა და შეფასებასთან დაკავშირებით საკითხი გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს - დავით ხუხიას; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ - ბადრი ძაგანიას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ.№243 243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16 ელ-ფოსტა: sakrebulo.senaki@gmail.com ვებ: www.senaki-sakrebulo.gov.ge